თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1284670

ნომერი: AR1219048

თარიღი : 13.05.2014

გაცემის თარიღი : 22.05.2014

გაცნობის თარიღი : 27.05.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუაჩიძე , N 41 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2014 წლის 13 მაისის # AR1219048 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 23.09.2013 წლის # 912948 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 23.09.2013 წლის # 912948 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები აისახა არქიტექტურული პროექტის შეთანხმების სტადიაზე თავად განმცახდებლის მიერ მითითებული მაჩვენებლების მიხედვით. შესაბამისად, #AR1219048 განცხადებაში მითითებული ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელია ინდივიდულაურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანით. ამავე განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა, რის შემდეგაც განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ შემდეგი თანმიმდევრობით: „სამართლებრივი საკითხები“, „ცვლილება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში“.

ამასთან, ვინაიდან, სარდაფის ფართობის ცვლილების შემთხვევაში შეიცვლება საერთო ფართობიც, საჭიროა წარმოადგინოთ განმარტებითი ბარათი, სადაც ცდომილების მიზეზთან ერთად მითითებული იქნება გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.